



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თოლოსი

თოლოსი, (ძვ. ბერძნ. θόλος), ცრუ გუმბათით გადახურული წრიული გეგმის მქონე შენობა, ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა ერთ-ერთი უძველესი და ფართოდ გავრცელებული ტიპი. წინა აზიაში თ-ები შენდებოდა უკვე ენეოლითის ხანაში (არპაჩია, ჰალაფი და სხვ., ძვ. წ. VI-IV ათასწლ.). საქართველოში ალიზით ნაგები უძველესი ცრუგუმბათიანი შენობები აღმოჩენილია ადრინდ. მინათმოქმედთა ნამოსახლარებზე (შულავერი, არუხლო, იმირის გორა და სხვ., ძვ. წ. VI-IV ათასწლ.). თ-ის სახელით უფრო ხშირად მოიხსენიება კრეტა-მიკენურ სამყაროში გავრცელებული ცრუგუმბათიანი მრგვალი აკლდამები. ადრინდ. მინოსური ხანის (ძვ. წ. III ათასწლ.) უძველესი თ-ები აღმოჩნდა კ. კრეტაზე, აგიატრიადასთან და ფესტოსის მახლობლად, ლებენაში. ზოგი თ. გამოიყენებოდა თითქმის 500 წლის განმავლობაში, ძვ. წ. XIX-XVIII სს-მდე. შუა მინოსური ხანის თ-ები აღმოჩნდა კნოსოსსა და ფესტოსში. კონტინენტურ საბერძნეთში თ. პირველად გაჩნდა მიკენურ ხანაში (ძვ. წ. XIV-XIII სს-ში); ცნობილია მიკენის სასახლის გალავანს გარეთ გათხრილი გრანდიოზული თ. - ე. წ. ატრევსის საგანძური, რ-იც აქეური საბერძნეთის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ხუროთმოძღვრული ძეგლია.

ანალოგიური კონსტრუქციის თლილი ქვით ნაგები თ-ები აღმოჩენილია საქართველოშიც, ბორჯომის ხეობაში.

ძვ. ბერძნები თ-ს უწოდებდნენ ეზოში ჩადგმულ გუმბათისებრ სათავსებს, რ-ებიც სამზადებად და სანოვავის შესანახად გამოიყენებოდა. კლასიკური ხანის ათენში თ. ეწოდებოდა ბულევტერიონის მახლობლად არსებულ წრიულგეგმიან ნაგებობას, რ-შიც დღის განმავლობაში ისხდნენ პრიტანები (ათენის ხუთასთა საბჭოს მორიგე წევრები) და იქვე სადილობდნენ საბ-ბის ხარჯზე სხვა სახელმწ. მოხელეებთან და ცალკეულ

დამსახურებულ მოქალაქეებთან ერთად.

ხუროთმოძღვრებაში თ. (ან ფოლოსი) ეწოდება აგრეთვე წრიული მოხაზულობის გეგმის მქონე შენობას, რ-იც აღმართულია საფეხურებიან პოდიუმზე და გარშემორტყმულია სვეტებით.

ი. გავომიძე
